ქალაქი

«ნეპტუნი»

გილოცავთ დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეებს და გთავაზობთ საუკეთესო ნატურალური პროდუქტებს!

მის: ქ. ოზურგეთი, ჭავჭავაძის ქ. №15

(რ)

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 10 (10347) 9 მარტი, 2020 წ. ფასი 60 თეთრი.

სუფსის ხეობას ეკოლოგიური პრობლემები ელოდება

ალიონი. გაზეთი „ალიონი“ წლების განმავლობაში წერს რეგიონის მდინარის აუზებში ქვა-ღორღის უკონტროლო მოპოვების გამო შექმნილი მძიმე მდგომარეობის შესახებ. შარშან, 10 ივნისის ნომერში ვრცელი სტატია გამოქვეყნდა სათაურით: „რა ხდება სუფსა-ნატანების ხეობაში და რა ეკოლოგიური პრობლემები ელოდება რეგიონს“; **alion.ge http://alion.ge/?view=article&id=1189;** „ბაილეთი –რა კეთდება კარგი და ხდება ცუდი გურიის ერთ-ერთ უძველეს სოფელში“.

სოფელ ახალსოფლის მოსახლეობა აპროტესტებდა, რომ მდინარე სუფსის აუზში კარიერის არასწორი ექსპლუატაციის გამო აქაურებმა სავარგულების 50 პროცენტი დაკარგეს და ეს პროცესი გრძელდებოდა.

„მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ სავარგულები სუფსამ მას შემდეგ წაიღო, რაც ქვიშა-ხრეშის მომპოვებელმა კომპანიამ, მოსახლეობასთან შეუთანხმებლად, მდინარეს კალაპოტი შეუცვალა. წყალი აქეთ აწვება და მიაქვს ეს ჩვენი მიწები. 600 კუბური მეტრი გაბიონი იყო ჩაწყობილი, კარგად გაკეთდა, 43 დღე პირადად ვიმუშავე იქ და კარგად ვიცი, გააუქმეს მაგათმა, აღარ ჩანს საერთოდ. ჩემი ნაგარიშით 18-20 ჰექტარი სავარგული უკვე წაღებულია“–უთხრა გაზეთ „ალიონს“ ახალსოფლელმა **რონინ დარჩიამ** („ალიონი“ №29, 2029 წ.)

გასულ პარასკევს, დილით გვაცნობეს, რომ სუფსის კარიერი ღამითაც მუშაობდა მანქანების კოლონას დიდი ოდენობის ინერტული მასალა გაჰქონდა კარიერიდან.

სუფსის ხეობაში არსებულ კარიერზე, რომელიც სოფელ სილაურის ტერიტორიაზე მდე-

გვ-2

ინფრასტრუქტურული ბუმი სოფელ ბახვში

თემურ მარშანიშვილი

ბახვი თავისი წარსულითა და დღევანდელობით იყო და არის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ყველაზე დინამიკური და პერსპექტიული სოფელი. ბახვში დღეს 978 კომლი აღირიცხება და 3000 ადამიანზე ცოტა მეტი ცხოვრობს. ძალიან მოკლედ რომ ვთქვათ, სახელოვან, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, წიგნიერ მამულიშვილთა, ეროვნულ მოღვაწეთა შობითა და აღზრდით ბახვს ბადალი არ ჰყავს მთელ ქვეყანაში.

ჰოდა, ამ დიდებულ სოფელში გასულ ხუთშაბათს, 5 მარტს გახლდით და, რომ იტყვიან, კარგ დროს ჩავედით. ბახვში ნამდვილი ინფრასტრუქტურული ბუმია.

მარტო ის რად ღირს, რომ სკოლას, რომელიც მალე საუკუნენახევრიან იუბილეს იზეიმებს, რეაბილიტაცია ჩაუტარდება და ამ მიზნით რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო 1,2 მილიონ ლარს გამოყოფს. გახარებული კი არა, აღფრთოვანებული დაგვხვდა ქალბატონი **მზია ვაშალომიძე,** რომელიც ამ სკოლას 1995 წლიდან უცვლელად ხელმძღვანელობს და რომელიც, ჩვენი აზრით, არა მხოლოდ პედაგოგიკის, არამედ პოეზიის მენტორია.

მზია ვაშალომიძის თქმით, სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები სასწავლო წლის დასრულებისთანავე დაიწყება და 5 თვეს გასტანს. სამუშაოების დამთავრებამდე, ახალ სასწავლო წელს, ცოტა ხნით, ქვედა ბახვის საჯარო სკოლის შენობაში გადაინაცვლებენ და სასწავლო პროცესს მეორე ცვლაში წარმართავენ.

ბახვის ტერიტორიულ ერთეულში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა **ირაკლი ცქვიტინიძემ** სკოლაში „მოგვაგნო“ და სარეპორტაჟო მასალის მომზადებამდე გვერდიდან არ მოგვცილებია თავისი ტრანსპორტით. ირაკლიმ ჩვენი იქ ყოფნის შესახებ ტელეფონით მაშინვე ამცნო სოფლის მაჟორიტარ დეპუტატს, ეროდი გორდელაძეს, რომელიც ამ დროს ერთ-ერთ უბანში არხის გაწმენდის სამუშაოებს ადევნებდა თვალყურს. მოსახლეობიდან გავიგეთ, რომ მოსწონთ მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის სინქრონულად საქმიანობა. 33 წლის ირაკლი პროფესიით მშენებელი ინჟინერია და, როგორც ჩანს, კარგად იცის, სოფლად ინფრასტრუქტურული მშენებლობების ფასი და მნიშვნელობა.

როგორც ირაკლი ცქვიტინიძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ოზურგეთის მერის კონსტანტინე შარაშენიძის გადაწყვეტილებით, სკოლის ეზოშივე აიგება მუზეუმი და ერთხელ და სამუდამოდ თავი მოეყრება სოფლად გაფანტულ საკმაოდ ძვირფას სამუზეუმო ექსპონატებს. რესტავრაცია გაუკეთდება ბახვის სტადიონს, სადაც არაერთი საინტერესო ტურნირი ჩატარებულა. გოჩა კრასოტკინის თაოსნობით, ბახველი ფეხბურთელი ბავშვების წარმატებები კი საყოველთაოდ არის ცნობილი. სტადიონთან არსებული ამბულატორიის შენობა გაფართოვდება და მასში მსაჯთა ოთახი და გასახდელი მოეწყობა, ამბულატორია კი სოფლის ცენტრში გადმოინაცვლებს ადმინისტრაციულ შენობაში

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი 108 ათასი ლარიდან 20 ათასი ლარი მოხმარდება მშვიდობაურის ცენტრის მოწყობას, დანარჩენი – ძირითადად ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეულების სხვადასხვა უბნებში გარე განათების მოწყობას.

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი
რეგისტრირებულია
ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში 18. 11. 2004
№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა
„მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი თიშაბათი ალიონზე

«ალიონით»

სუფსის ხეობას ეკოლოგიური პრობლემები ელოდება

ბარეობს, ხშირად ეცვლება უფროსობა. ამჟამად აქ კომპანია „ქიუ ემ სი“ იღებს ქვა-ღორღს, იქვე აქვთ მოწყობილი გადამამუშავებელი საწარმო და აქედან მიდის შემდეგ დახარისხებული ინერტული მასალა.

დღეს, სოფელ ბაილეთისა და სილაურის მოსახლეობამ ერთობლივი აქცია გამართა.

–*სუფსის კარიერი, კომპანია „ქიუ ემ სი“სოფელ სილაურის ტერიტორიაზე მუშაობს, თითქმის უწყვეტად, დღე-ღამის განმავლობაში. ამჯერად განსაკუთრებულად შეუტიეს ბუნებას, რამაც მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია. დღეს, სოფელ სილაურისა და ბაილეთის მოსახლეობამ (დაახლოებით 60 კაცი), საპროტესტო აქცია გამართეს. ადგილზე მისულებს, მუშაობა გაჩერებული დაგვხდა. მხოლოდ აქ მომუშავე მექანიზატორები იყვნენ. მათი თქმით, აქ მომუშავე ტექნიკას ტექდათვალიერება ჰქონდა გასავლელი და ამიტომ წაიყვანეს. კომპანიის პასუხისმგებელი პირები იქ არ იყვნენ. აქ იყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლები. არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოს“ ბათუმიდან სწრაფი რეაგირების ჯგუფი ჰყავდათ გამოძახებული და ელოდნენ, თუმცა იქ, ჩემი ყოფნის პერიოდში არ მოსულან* – გვითხრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სილაურის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელმა **გოჩა ჯანხოთელმა.**

– *ჩვენ იქ დაკვირვების რეჟიმში ვიყავით. ტექნიკა გაყვანილი იყო, როგორც გვითხრეს, ტექნიკურ დათვალიერებაზე ჰყავდათ წაყვანილი. აქციაზე იყო 50-60 კაცი, რომლეთაგან უმეტესობა ამბობდა, არ უნდა იმუშაოს კარიერმა, ზოგი ამბობდა, რა გინდათ ამ ხალხთან, გვეხმარებიან და იმუშაონო და ა.შ. „ეკოს“ მიერ გამოძახებული გარემოს დაცვის წრაფი რეაგირების ჯგუფი ჩვენი იქ ყოფნისას არ მოსულა არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოს“ წარმომადგენელი ირმა გორდელაძე აქციის მონაწილეებს კანონით მინიჭებულ უფლებებს აცნობდა.* –გვითხრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა **შალვა გაბრიჩიძემ.**

არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოს“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა **ირმა გორდელაძემ** გაზეთ „ალიონთან“ განაცხადა, რომ კარიერი მუდმივ რეჟიმში მუშაობს. წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული 5-წლიანი ლიცენზიით. მათ წლიურად 720 ათასი ტონა ინერტული მასალა უნდა მოიპოვონ და გადაამუშაონ და სამუშაო დროის ხანგრძლივობა დღე-ღამეში 16 საათი აქვთ განსაზღვრული. კარიერს შპს „ნატა 2000“-თან აქვთ ხელშეკრულება გაფორმებული.სულ

სამი კომპანიის ტანდემია. მოსახლეობა აპროტესტებს, მაგრამ, როგორც ამბობენ, არიან ე.წ. „ქურდული სამყაროს“ წარმომადგენლები, ვინც ცდილობს მოსახლეობა გააჩუმოს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინიტროს მიერ 2019 წლის 26 ნოემბრის გზშ და სგშ განცხადებაში ვკითხულობთ:

„ხარვეზის წერილი- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალსოფლის (სილაურის) მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება

გაცნობებთ, რომ 2019 წლის 15 ნოემბერს სამინისტროს ვებგვერდზე განთავსდა განცხადება სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების თაობაზე (იხ. განცხადების ლინკი).

აღნიშნული პროექტის სკრინინგის განცხადებაში გამოვლინდა რიგი უზუსტობები, რის შესახებაც სამინისტრომ წერილით მიმართა შპს „ქიუ ემ სის“. გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით აღნიშნულ პროექტზე ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „ქიუ ემ სი“ უზრუნველყოფს განახლებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენას.“

„ნაციონალი“ დეპუტატები საკრებულოს კომისიების წლიური ანგარიშების განხილვასაც არ ესწრებიან

ალიონი. მეტი პარადოქსი რა გინდათ: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 4 მარტის სხდომაზე ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის არჩევის (ბესო ქათამაძე) შესახებ ცნობა ისე მიიღეს, რომ ამ სხდომას საკრებულოს „ნაციონალი“ დეპუტატებიდან არც ერთი დასწრებია. რჩება შთაბეჭდილება, რომ ისინი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი რგოლის სხდომებს როცა მოეპრიანებათ, მაშინ ესწრებიან, არ ინტერესდებიან ისეთი საკითხებითაც კი, როგორიც თუნდაც საკრებულოს კომისიების წლიური ანგარიშებია.

დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3724 კვადრატული მეტრი (ს/კ 26.01.61.596) და 502 კვადრატული მეტრი (ს/კ 26.01 61.597) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემას, შემდგომში შპს „ბლექსი არენა ჯორჯიასთვის“ გადაცემის მიზნით.

დიდი ბჭობა არ დასჭირვებიათ არც მესამე საკითხის მიღებაზე: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ, რომელშიც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს აღემატება“ – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე. დადგენილების მიღების ვადად დასახელდა არაუგვიანეს 2020 წლის აპრილი. ითქვა, რომ დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ამ საკითხზე საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარადგინონ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში.

სხდომაზე გადაწყდა, რომ დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაძებად.

დამსწრე დეპუტატებმა დადებითად შეაფასეს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის, აგრარულ საკითხთა და ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის, სამანდატო, საპროცედურო იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშები.

საჯარო სკოლები და საბავშვო ბაღები სპეციალური ხსნარებით მუშავდება

გურიის რეგიონში კორონა ვირუსთან დაკავშირებით სადეზინფექციო სამუშაოები გრძელდება და ეტაპობრივად ყველა აუცილებელ ლოკაციას მოიცავს.

ქალაქ ოზურგეთის საჯარო სკოლები და საბავშვო ბაღები, ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად, სპეციალური ხსნარებით მუშავდება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას ხელმძღვანელობით შექმნილი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში უკვე ამოქმედებულია საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფები მხარის რწმუნებულების ხელმძღვანელობით. სამუშაო ჯგუფებს კოორდინაციას უწევენ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი რეგიონულ საკითხებში სოზარ სუბარი.

.

ინფრასტრუქტურული ბუმი სოფელ ბახვში

მშვიდობაურის კულტურის სახლის გადახურვით, აქ ყოფნისას, თვით მერი დაინტერესდა, აქვე მოეწყობა სკვერი და აშენდება ეკლესია, მოეწყობა ასევე გარე განათება ოროკის უბანში.

ირაკლი ცქვიტინიძის თქმით, სოფლისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ვაკიჯვარი-ფამფალეთი-ბახვი-ბაღდადის, ასევე ვაკიჯვარი-ცხემლისხიდი-მშვიდობაურის წყალსადენების მშენებლობას, რაზეც მთლიანობაში 15 მილიონამდე ლარი დაიხარჯება. ამ პროექტების განხორციელებით ქვედა ბახვისა და ბახვის 800-მდე, ასევე მშვიდობაურის 240-მდე კომლი უწყვეტი რეჟიმით მიიღებს სასმელ წყალს.

ირაკლის დახმარებით საშუალება მოგვეცა ვაკიჯვარში სამუშაო პროცესში შევხვედროდით ვაკიჯვარი-ფამფალეტი-ბახვი-ბაღდადის წყალსადენის ტენდერში გამარჯვებული ფირმის შპს „უნივერსალ ჯორჯიას“ წარმომადგენლებს. როგორც **ედნარ ჩიტაძემ** გვითხრა, თავისი სამშენებლო ორგანიზაცია შედეგზეა ორიენტირებული:

„შპს „უნივერსალ ჯორჯია“ ამ სფეროში დიდი გამოცდილების მქონე, შედეგზე ორიენტირებული სამშენებლო ორგანიზაციაა, რომელსაც გაცილებით მასშტაბური მშენებლობები აქვს განხორციელებული ბათუმსა და ქობულეთში. ამ წყალსადენის მშენებლობაზე საკმაოდ მოცულობითი, 6 848 848 ლარის სამუშაოები არის შესასრულებელი. მთლიანობაში დაქსელვა 100 000 მეტრი იქნება. სათავეზე – 600, თავვაკიჯვარში – 400, ვაკიჯვარში – 600 და ბახვში – 800 კუბური მეტრი ტევადობის რკინაბეტონის რეზერვუარები დაიდგმება. ვითვალისწინებთ პირადად მუნიციპალიტეტის მერისა და მოსახლეობისა ინტერესებს და ვცდილობთ, მაგისტრალის გაყვანისას არ დავაზიანოთ გზები. ბათუმსა და თბილისში რომ არის, იმ დონეზე გაკეთდება აქ ეს წყალსადენი“.

მუნიციპალიტეტმა სოფელში სოციალურად ხელმოკლე არაერთ ოჯახს გაუწია როგორც ფულადი, ისე მატერიალური დახმარება. რამდენიმე ასეთი ოჯახი მერის წარმომადგენელთან ერთად მოვინახულეთ.

ზურაბ აბაშიძისა და **დარეჯან ღუმბაძის** 6-შვილიანი ოჯახი 45 წელია მშვიდობაურში, ორიკის უბანში ცხოვრობს, იღებს სოციალურ დახმარებას. საკუთრებაში ფლობს 1 ჰექტარ მიწის ნაკვეთს, რომლის ნაწილზე თხილის ნარგაობაა გაშენებული. საცხოვრებელი იმდენად ავარიულ მდგომარეობაშია, რომ ძლიერმა ქარის დროს, იმის შიშით, რომ არ დაიგრეს და ვინმე შიგ არ მოიყოლოს, ბავშვები სახლიდან გამოჰყავთ.

ოჯახს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ გაუწია მატერიალური დახმარება, ახალი სახლის ასაშენებლად შეუძინა 5 ტონა ცემენტი, 1500 ცალი სამშენებლო ბლოკი, სახურავი, 35 ცალი არმატურა 1,5 კუბური მეტრი ხის მასალა. მშენებლობაც დაუწყიათ, მაგრამ კედლების ბოლომდე ამოსაყვანად მინიმუმ 1000 ცალი სამშენებლო ბლოკი მაინც დასჭირდებათ. როგორც თვითონ ამბობს, სეზონურად თურქეთში ჩაის კრეფით ნაშოვი ფულით ამას ვერ შეძლებს. ცოტაოდენი ფული შოვას ახერხებდა საკუთარი ტრაქტორითაც, რომელიც ახლა ამორტიზებულია და შესაკეთებლად არანაირი სახსარი არ გააჩნია. სოფლის ხელმძღვანელობის მადლიერია:

ვერ ვიტყვი ტყუილს, გვეხმარებიან, რა დროსაც არ უნდა შევაწუხოთ, – გვითხრა ზურაბმა.

49 წლის **სერგო მარიკიანი** 20 წელია ბახვში ცხოვრობს, მარტოდაა. აქვს კარგად მოვლილი ეზო და თხილის ნარგაობა. რამდენიმე წლის წინ, გაჭირვების გამო იძულებული გახდა გაეყიდა საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილი. რასაკვირველია, სერგოსაც გაეწია დახმარება, შეუძინეს 1500 ცალი ბლოკი, 100 კვადრატული მეტრი სახურავი, 4 ტონა ცემენტი. როგორც თვითონ ამბობს, მალე შეუდგება სახლის მშენებლობას. ააშენებს იმ ზომისას, რაც ამ უფასოდ გადმოცემული მასალით აშენდება.

ასევე მოვინახულეთ **ლია გიორგაძისა** და **ვლადიმერ ბაჯელიძის** 5-შვილიანი ოჯახი, რომელსაც აქ მუნიციპალიტეტი 10 000 ლარად ორსართულიან სახლს შეუძენს თავისი საკარმიდამო მიწის ნაკვეთით. საინტერესო და სასიამოვნო ფაქტია. სრულყოფილ მასალას ვრცლად გაზეთის შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

სოფლის მაჟორიტარ დეპუტატ **ეროდი გორდელაძეს** ყოფილი მეოთხე ბრიგადის დასახლებაში შევხვდით, სადაც როგორც უკვე ვთქვით, არხების წმენდა მიმდინარეობდა.

„აგერ, ზურაბ მეტონიძემ შეგვატყობინა არხებია ამოვსებული და აქურობა იტბორებაო და მუნიციპალიტეტის ექსკავატორითა და „კამაზის“ მარკის თვითმცლელით სატვირთო არხებს ვწმენდთ. ერთ კილომეტრამდე არხია მოსაწესრიგებელი.

აწ გარდაცვლილი თქვენი კოლეგის ნუკრი ნიკოლაიშვილის უბანში მოსახლეობამ ხიდის გაკეთება ითხოვა. უამინდობის დროს იქ მდინარე სტოლონქრო ისე დიდდება, მანქანით გავლა შეუძლებელია. პატარა ხიდია გასაკეთებელი და აუცილებლად გავაკეთებთ.

ბახვის ადმინისტრაციული ერთეულის სამივე სოფელი გაზიფიცირებულია და ამ საქმეში „სოკარმა“ 4 მილიონ 600 ათასი ლარი ჩადო. მოასფალტებულია ცენტრალური, სხვა სოფლებთან და მუნიციპალიტეტის ცენტრთად დამაკავშირებელი გზები, უკვე გეცოდინებათ, რომ 1,2 მილიონი ლარის მოცულობის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდება ბახვის საჯარო სკოლის შენობას, ყველა უბანში იქნება გარე განათება, გვექნება მუზეუმი გვრჩება მხოლოდ შიდა გზები, რომლის ჯამური სიგრძე 250 კილომეტრზე მეტია. ამ პრობლემასაც მოვაგვარებთ. ვფიქრობთ, ხელისუფლებისა და ხალხის გვერდით დგომით, აქედან სამ წელიწადში ბახვი იქნება ინფრასტრუქტურულად ბოლომდე სრულყოფილი სოფელი“. – გვითხრა ეროდი გორდელაძემ.

დიახ, ბახვში ნამდვილი ინფრასტრუქტურული ბუმია.

კონსტანტინე შარშენიძე: „მსოფლიოში მსგავსი შემთხვევა არ ვიცი, მუნიციპალიტეტის მიწაზე ხიდი იყოს და იქ ხალხს არ ატარებდნენ“

ოზურგეთის საკრებულომ მდინარე ბახვისწყლის ხიდზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ იმსჯელა.

ალიონი. 5 მარტს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში მოისმენა, რომელიც ამ კომისიის თავმჯდომარე **ლავრენტი ბიგვავამ** წარმოადგინა.

მოხსენებაში საკმაო ადგილი დაეთმო სოფელ მთისპირში, მდინარე ბახვისწყალზე ფრანგული კომპანია „იმერის ბენტონით ჯორჯიას“ მიერ ციხისუბანში გადასავლელი ხიდის ჩაკეტვის თემას.

– სოფელ მთისპირში კომპანია „ასკანგელ ალიანსს“ მდინარე ბახვისწყალზე გადასავლელ ხიდზე შეზღუდული აქვთ გადაადგილება. ჩვენ ამ საკითხზე გავიარეთ შესაბამისი კონსულტაცია, კომისიამ მოამზადა დასკვნა თუ როგორ მოგვარდეს პრობლემა მოლაპარაკების გზით. წერილიც გადავაგზავნეთ საფრანგეთში –აღნიშნა ლავრენტი ბიგვავამ.

–მსოფლიოში მსგავსი შემთხვევა არ ვიცი, მუნიციპალიტეტის მიწაზე ხიდი იყოს და იქ ხალხს არ ატარებდნენ. ასეთი მდგომარეობაა, როგორც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დროებით საზღვართან: ბეტონის ბლოკებით გადაკეტილია ხიდი, სადაც დაცვა დგას. თავდაპირველად კომპანიის წარმომადგენლობამ საფრანგეთში, სათაო ოფისის მისამართიც კი არ მოგვცა. ამჟამად მუნიციპალიტეტიდან წერილი გაგზავნილია საფრანგეთში და პასუხს ველოდებით. ვცდილობთ არ იყოს დაპირისპირება. მდინარე ბახვისწყლის მეორე მხარეს არის საქართველოს ენერგოსისტემის მაღალი ძაბვის ანძები, სატყეო უბანი, სოფლის მოსახლეობის სახნავ-სათესები, თხილის პლანტაციები.

კომპანია „ასკანგელ ალიანსში“ 150-ზე მეტი ადამიანი მუშაობს. სოფელ მთისპირში ათეულობით ოჯახი რჩება ულუკმაპუროდ. თიხის გადამამუშავებელ ქარხანას რესურსი ამოეწურა და პროდუქციას ველარ გამოუშვებს. კვლავ იკარგება ბაზარი.

ჩვენ ვთავაზობთ ხიდის წესრიგში ჩვენი სახსრებით მოყვანას. თუ ხიდს გადმოგვცემენ, სახელმწიფომ თანხა უნდა გადაუხადოს ფრანგულ კომპანიას.

ერთადერთი წიაღისეული ოზურგეთის მუნიციპალიტეტში თიხაა და

გვ-4

კონსტანტინე შარაშენიძე: „მსოფლიოში მსგავსი შემთხვევა არ ვიცი, მუნიციპალიტეტის მიწაზე ხიდი იყოს და იქ ხალხს არ ატარებდნენ“

ოზურგეთის საკრებულომ მდინარე ბახვისწყლის ხიდზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ იმსჯელა

მუშაობდეს –აღნიშნა მუ-ნიციპალი-ტეტის მერმა **კონსტანტინე შარაშენიძემ.**

გაზეთმა „ალიონმა“ რამდენჯერმე გააშუქა სოფელ მთისპირში ფრანგულ კომპანია „იმერის ბენტონიტ ჯორჯიასა“ და შპს „ასკანგელ ჯგუფს“ შორის არსებული დაპირისპირების თემა. ეს დაპირისპირება იმაში გამოიხატება, რომ, „ასკანგელ ჯგუფს“, რომელმაც წიაღის ეროვნულ სააგენტოში ბენტონიტური თიხების მოპოვების ლიცენზია აქვს, ფრანგული კომპანია მდინარე ბახვისწყალზე ქართული კომპანიის კუთვნილ სატრანსპორტო საშუალებებს არ აძლევს ხიდზე გადაადგილების უფლებას. პრობლემები აქვს ადგილობრივ მოსახლეობასაც. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ თავის დროზე, როდესაც აუქციონის წესით გაიყიდა მაღაროთა სამმართველო, ბერძნულ კომპანიას „სილვერ ენდ ბარიტ მაინინგ კომპანს“, მაღაროთა სამმართველოს ქარხნებსა და ტექნიკასთან ერთად, საკომუნიკაციო ნაგებობებიც გადასცეს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ცენტრალური ხელისუფლებიდან პრაქტიკულად გადადგმული ნაბიჯი პრობლემის მოსაგვარებლად არ ჩანს.

გაზეთი „ალიონი“ სოფელ მთისპირის მაჟორიტარ დეპუტატს **ვლადიმერ ჩავლეშვილს** ესაუბრა:

–მძიმე მდგომარეობაა. კარიერიდან გამოტანილი თიხის მარაგი იწურება. ფაქტიურად სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი ლუკმაპურის გარეშე რჩება. ქართული კომპანიის წარმომადგენლები ცდილობენ პრობლემა მოლაპარაკების გზით მოაგვარონ, მაგრამ ჯერჯერობით შედეგი არ ჩანს. ადგილობრივი მოსახლეობა ფართომასშტაბიანი აქციების მოწყობას გეგმავს. მუნიციპალიტეტმა წერილი გაგზავნა „ბენტონიტ იმერის ჯორჯიას“ სათავო ოფისში საფრანგეთში და პასუხს ელოდება იმედია ხელისუფლება მოაგარებს ამ პრობლემას –გვითხრა ჩავლეიშვილმა.

24.12.2019

დავფიქრდეთ მოსალოდნელ სიძნელეებზე და ვიზრუნოთ ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებისთვის

ვიმოქმედოთ დევიზით: „ჩვენ არავის ჩრდილში მოქცევა არ გსურს, მაგრამ მოვითხოვთ ჩვენს ადგილს მზის ქვეშ“

ვიმოქმედოთ დევიზით: „ჩვენ არავის ჩრდილში მოქცევა არ გსურს, მაგრამ მოვითხოვთ ჩვენს ადგილს მზის ქვეშ“

პლანეტის გლობალური კლიმატური ცვლილებები ბევრ სიურპრიზს უმზადებს კაცობრიობას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით შედარებით უსაფრთხო ზონაში იმყოფებ,ა მაინც მოსალოდნელია პირდაპირი თუ ირიბი გავლენები ქვეყნის ეკოლოგიკურ პროცესებზე. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, მიმდინარე 2020 წლის სავეგეტაციო პერიოდი მშრალი და გვალვიანი იქნება. ასეთ პირობებში მეტად გართულდება სასოფლო- სამეურნეო კულტურებში სრულყოფილი აგროტექნიკური ღონისძიებების გატარება და მათი ეფექტიანობა. დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში მიმდინარე წლის იანვარი მშრალი და თბილი, ხოლო თებერვალი საკმაოდ მაღალი ნალექიანობით ხასიათდებოდა, მეტიც, თვის პირველ დეკადაში ჩრდილოეთიდან შემოჭრილი ჰაერის ცივი მასების ზეგავლენით დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში თოვლიანობა და ტემპერატურის მკვეთრი დაცემა დაფიქსირდა, მაშინ, როდესაც გასული ორი ათეული წლის განმავლობაში ტემპერატურის ასეთ მკაცრ დაცემას ადგილი არ ჰქონია. თოვლიანობა განსაკუთრებით აღინიშნებოდა აჭარა-გურიაში, ასევე მოთოვა იმერეთისა და სამეგრელოს გორაკ-ბორცვიან ზონებში. ბახმაროსა და გოდერძის გადასასვლელზე თოვლის სიმაღლემ 2-3 მეტრს მიაღწია, ხოლო ბათუმსა და ოზურგეთში თოვლის სისქე 0.5 მეტრამდე დაფიქსირდა. თოვლიანობას თან დაერთო ტემპერატურის მკვეთრი დაცემა. ღამით ჩაქვში -3 -6 გრადუსამდე, ხოლო ოზურგეთში -8 -9 გრადუსიც კი დაფიქსირდა. მარტის პირველ რიცხვებში ჩატარებული დაკვირვებებიდან გამომდინარე, წინასწარი მონაცემებით, ზღვის სანაპირო ზოლში გაშენებულ ციტრუსოვანთა ნარგაობაში მცენარეთა უმნიშვნელო დაზიანება აღინიშნებ, ხოლო ზღვიდან დაშორებულ ადგილებში მნიშვნელოვნად დაზიანდა ლიმონის ნარგავები, რაც გამოიხატება ერთ-ორ წლიანი ნაზარდებისა და ფოთლების წაყინვა-გახმობაში. იგივე მდგომარეობაა ფორთოხლების ბაღებში, სადაც, ფოთლებთან ერთად ,ერთწლიანი ნაზარდების დაზიანებაცაა დაფიქსირებული. რაც შეეხება მანდარინის ნარგავებს, ჯერჯერობით მათზე მნიშვნელოვანი დაზიანება არ აღინიშნება. კონკრეტულად ანასეულში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევის სამსახურის საკოლექციო ნაკვეთში მძიმედ დაზიანდა სამწლიანი გაშენებული ციტრუსოვანთა ნარგაობა. ყველაზე მეტად დაზიანდა ლიმონი ახალქართული და ლიმონი მეიერი, ასევე დაზიანებულია მანდარინისა და ფორთოხლის ერთწლიანი ფოთლები და ყლორტები. აქვე შევნიშნავთ იმასაც, რომ თოვლის დაბალი საბურველის გამო, მცენარეთა მექანიკურ დაზიანებას (ტოტების გახლეჩვა, დატეხვა) ადგილი არ ჰქონია. რაც შეეხება სხვა სუბტროპიკულ კულტურებს (ჩაი, თხილი, აქტინიდია, ფეიხოა, ხურმა და სხვა), მათზე ზამთრის არახელსაყრელი კლიმატური პირობების უარყოფითი ზემოქმედება არ დაფიქსირებულა. სუბტროპიკულ ზონაში საგაზაფხულო სამუშაოები აქტიურ ფაზაში შედის. თუ გვინდა მაღალი და ხარისხიანი მოსავალი მივიღოთ მარტი-აპრილში გათვალისწინებული სამუშაოები (მცენარეთა გასხვლა-ფორმირება, ნიადაგის შებარვა-გაფხვიერება, სასუქების შეტანა, შეწამვლა და სხვა) დროულად და ხარისხიანად უნდა ჩატარდეს. აქვე შევნიშნავთ იმასაც, რომ მარტის მესამე დეკადაში და აპრილში შესაძლებელია დაფიქსირდეს საგაზაფხულო წაყინვები, რაც სერიოზულ ზიანს მიაყენებს: კურკოვნებს, თესლოვნებს, ასევე ნაადრევად ვეგეტაციაში შესულ სუბტროპიკულ კულტურებს. საგაზაფხულო წაყინვების წინააღმდეგ ბრძოლა რთულია, თუმცა გონიერ მეურნეს შეუძლია გაზაფხულზე შტამბის შეთეთრების, მცენარეთა გასხვლის რეგულირებისა და წაყინვების პერიოდში ნარგაობაში დაწვიმებით ან შესაბოლებელი მასალის (ძველი საბურავები, ნახერხი, მცენარეთა ანარჩენი) გამოყენებით შეამციროს წაყინვების უარყოფითი გავლენები. რაც შეეხება საზაფხულო მოსალოდნელი გვალვების არახელსაყრელი ზეგავლენის შემსუბუქებას, ამ მიზნით რეგულარულად უნდა იქნას გამოყენებული ნიადაგის გაფხვიერება, დამულჩვა და შესაძლებლობის ფარგლებში წვეთოვანი, მიშვებითი და დაწვიმებითი მორწყვა. ჯერჯერობით კავკასიონის მთებზე მოსული თოვლის მასა იმედის მომცემია წყლის რესურსების უზრუნველსაყოფად, თუმცა დაბალ რეგიონებში თოვლის მცირე საფარის გამო შესაძლებელია პატარა მდინარეებში წყლის ნაკადის შემცირება. დროა, მივეჩვიოთ ბუნებრივი რესურსების ეკონომიურად ხარჯვას. ეს ეხება: გრუნტის წყლებს, მდინარეებს, ტბებს, ტყეებს და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს.

აქვე შევნიშნავთ იმასაც, რომ 2020 წელი მოსახლეობისთვის შესაძლებელია მძიმე აღმოჩნდეს. მსოფლიოში გაჩენილი ახალი კორონა ვირუსის გამო ტურიზმისა და ექსპორტ-იმპორტის კლება დაფიქსირდეს, რაც პირდაპირ აისახება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებზე. ასევე მოსალოდნელია სუბტროპიკულ ზონაში დარჩენილი ისედაც მცირე შრომისუნარიანი მოსახლეობის საზღვარგარეთ (თურქეთი, საბერძნეთი და სხვა) სეზონურ სამუშაოებზე წასვლის აკრძალვა. სახელმწიფოთა შორის (თურქეთი, ირანი და სხვა) საზღვრების დროებითმა დაკეტვამ შეიძლება გამოიწვიოს ამ ქვეყნებიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების იმპორტის შეჩერება, რითაც სამწუხაროდ დღემდე გაჯერებულია ქართული ბაზარი. აქედან გამომდინარე, დროა, დავფიქრდეთ მოსალოდნელ სიძნელეებზე და ქვეყნის მოსახლეობამ გააქტიუროს მუშაობა ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით. უპირველეს ყოვლის,ა საჭიროა არსებული და მიგდებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დამუშავება მარცვლეული, ბოსტნეული და მრავალწლიანი კულტურების მოსაყვანად. ასეთ პირობებში თითოეულმა გლეხმა, ფერმერმა თუ კომპანიამ მაქსიმუში უნდა გააკეთოს საკუთარი მოსახლეობის კვების პროდუქტებით დასაკმაყოფილებლად. ზოგიერთს შესაძლოა ეს პრობლემა არარეალურად მოეჩვენოს, მაგრამ არავინ იცის, რას გვიმზადებს პლანეტის გლობალური ნეგატიური მოვლ-ენები. თადარიგი აქედანვე უნდა დავიჭიროთ, რათა სახელმწიფოსა და მოსახლეობის ერთობლივი მხარდაჭერით მიმდინარე წელი უმტკივნეულოდ გავიაროთ. ადამიანებო, იყავით ფხიზლად, დრო,ა მივხედოთ ჩვენ სოფლებს, ავაღორძინოთ მიტოვებული კარმიდამო, ვიმოქმედოთ დევიზით „ჩვენ არავის ჩრდილში მოქცევა არ გვსურს, მაგრამ მოვითხოვთ ჩვენს ადგილს მზის ქვეშ“ მართლაც, დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველო საკუთარი რესურსების მაქსიმალური ამოქმედებით, მოსახლეობისა და ხელისუფლების ერთობლივი მხარდაჭერით შეძლებს ევროპული დონის ეკონომიკისა და სამართლიანობის დამკვიდრებას.

ზაურ გაბრიჩიძე,
ნიკა გუნთაძე.

მოსახლეობის საყურადღებოდ!

25 წლის მანძილზე დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში ტემპერატურის ასეთი მკაცრი დაცემა (-9-100) არ აღნიშნულა, რამაც ზონის ზოგიერთ ადგილებში დააზიანა ციტრუსოვანთა ნარგავები. საბოლოო დასკვნის გაკეთება ციტრუსოვანთა დაზიანებაზე ნაადრევია მანამ, სანამ მცენარეში არ დაიწყება წვენთა მოძრაობა, რომელიც მაჩვენებელია იმისა, რომ მცენარის ქერქი საღია და კვირტები იწყებენ ვეგეტაციას. სწორედ ამ დროს გამოჩნდება თუ რა ბალით არის დაზიანებული ტოტი ან მთლიანად მცენარე, რომელიც დაყრის ფოთოლს და იწყებს ხმობას. ეს მოხდება მარტის ბოლოს, აპრილის დასაწყისში, როდესაც ვიწყებთ მცენარის გასხვლას, დაზიანებული ტოტების მოშორებას სეკატორით ან ბაღის ხერხით. დაზიანებული ნაწილები უნდა გადაიჭრას კვირტის გაღვიძების ადგილიდან 2-3 სმ-ით მაღლა.

დაზიანებული ტოტების მოცილების შემდეგ ხდება მცენარეზე გაღვიძებული კვირტიდან ახალი ყლორტების განვითარება, რომელიც მიმდინარეობს ჩქარი ტემპით, ვინაიდან მცენარეზე ძველი ტოტებისა და კვირტების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირებულია.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის მონაცემებით: 1. ახლად განვითარებული ტოტები მიაღწევენ რა 25-30 სმ სიგრძეს, იწყებენ დახრას და ადვილად ტყდებიან ქარისა და თავიანთი სიმძიმის გამო. იმისათვის, რომ მცენარის ვარჯი შეიმოსოს ხშირი და ძლიერი ყლორტებით, საჭიროა სწრაფმზარდი ტოტების პინცირება, რაც ხელს უწყობს მათ გამაგრებას და გვერდითი ტოტების წარმოქმნას. ყოველივე ეს საჭიროა მჭიდრო და კომპაქტური ვარჯის შესაქმნელად, აგრეთვე დაზიანებული მცენარის მსხმოიარობის დასაჩქარებლად. 2. არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთ ადგილებში ციტრუსოვანი მცენარეები დაიღუპნენ ფესვის ყელამდე და მათზე არ მოხდება კვირტების განვითარება. ამ შემთხვევაში მცენარე გადაიჭრება და ჩატარდება რემონტი, გამოირგვება ახალი ნერგები, ან უნდა მოხდეს პლანტაციაში დარჩენილ ტრიფოლიატის საძირეზე, რომელიც ამოიყრის, კვირტით მყნობა აგვისტოში შეიძლება. თუკი სწორად ჩატარდება მითითებული ღონისძიებები აღდგენილი იქნება დაზიანებული მცენარეები.

ცისანა ქაშაკაშვილი,
სოფლის მეურნეობის დოქტორი

შეიარაღებული ძარცვა სოფელ ნაღობილევში

ალიონი. 1 მარტს, დაახლოებით 05 საათზე, ოთხი ნიღბიანი შეიარაღებული პირი თავს დაესხა სოფელ ნაღობილევში 80 წელს მიტანებული გ. პ-კოს ოჯახს. თავდამსხმელებმა ფიზიკური შეურაცყოფა მიაყენეს გ. პ-კოს და მის მეუღლეს ი. გ-ძეს, წაიღეს ოჯახის დანაზოგი თანხა 2500 ლარი, სხვა ნივთები, შემდეგ მარანსაც ესტუმრნენ და მიიმალნენ.

სასტიკად ნაწამები ცოლქმარი ოზურგეთის „მედალფას“ კლინიკაში გადაიყვანეს. მამაკაცს 10 ნეკნი აქვს მოტეხილი, იგი რეანიმაციაში მოათავსეს, ქალი კი სახის არეშია დაჭრილი. მათი მდგომარეობა ამჟამად სტაბილურია.

მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება. ყაჩაღები ჯერჯერობით დაკავებულნი არ არიან.

„დამარხულ არს ენაი ქართული“



V საუკუნიდან მოყოლებული მართლმადიდებელ საქრისტიანოში ქართველებს საკუთარი მონასტრები და მათთან არსებული საგანმანათლებლო-საღვთისმეტყველო სკოლები ჰქონდათ. პალესტინის, სინას მთის, ანტიოქიის, შავი მთის და ყველა საბერძნოაზვნო ცენტრი უამრავი ქართული მონასტრით იყო გაშენებული.

მარტო პალესტინაში ორმოცი ქართულ მონასტერში წარითქმებოდა უფლის სადიდებელი ლოცვები. არაბთა საშინლად მოძალებული ბატონობის ხანაშიც კი, როცა მთელ საქრისტიანოში მშობლიური ენა არაბულმა შესცვალა, საზღვარგარეთ თუ ქართულ მიწაზე არსებულ ქართულ მონასტრებში მძლედ ჟღერდა წმიდა მამათა ბაგეთაგან წართქმული მშობლიური ქართული. არაბული ენის წინაშე უამრავმა ქრისტიანულმა ქვეყანამ მოიდრიკა ქედი, ივიწყებდნენ მშობლიურ ენას და მეტყველებდნენ არაბულად. ეს ის დრო იყო, როცა იოანე სბანისძის დარისხებული ზარები ქუხდნენ: „აღვირიენით ერსა უცხოსა“, მაგრამ ახალქართულ მონასტერლავრებში კვლავ ქართულ ენაზე გაისმოდა ლოცვა-ვედრება. შორეულ მთაზე ბრწყინავდნენ ქართველნი მამანი ჩვენი ერის ჭირით დაჭირვებულნი, ერის ცრემლით ცრემლდაუმშრალნი, საქვეყნოდ უნებურ სახელგასმენილნი: ეფრემ მცირე და გიორგი შეყენებული, ილარიონ ქართველი და გიორგი ხუცეს-მონაზონი, იოანე ათონელი და იოანე თორნიკ-ყოფილი, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, იოანე ჭიმჭიმელი და ეფრემ დიდი, გრიგოლ ბაკურიანისძე და საბა თუხარელი და სხვანი და სხვანი ღირსნი მამანი, მარად მოციალე ნათელნი ჩუენნი.

ესენი იყვნენ სულიერი ბრძოლის ველზე ლოცვა-აღჭურვილნი სულის მეომარნი. იბრძოდნენ, იღვწოდნენ, ლოცვით მძლეობდნენ. . . და გაისმოდა ქართულ მიწაზე შორით მქუხარი სიტყვა - ქუხილი მათი: **არ გადაშენდებაო ქართული მოდგმა!**

პალესტინაში საბაწმიდის ქართულ ლავრაში V საუკუნიდან იღწვოდა მრავალრიცხოვანი ქართული კოლონია, ძლიერი სალიტერატურო სკოლით - საბაწმინდურს, რომ უწოდებენ. არაბთა მოძალების ხანაში ერთი ნაწილი ქართველ ბერთა სინას მთას შეჰხიზნებია, რადგან მიუდგომლობის გამო მთა შედარებით დაცული ყოფილა არაბთაგან. აქ ეგულებოდათ მათ VI საუკუნეში საფუძველჩაყრილი ქართული მონასტრები. ამ ჯგუფს სათავეში ჩადგომია იოანე-ზოსიმე, რომელიც დღედაღამ უძველეს ხელნაწერებს უჯდა და მათი გადაწერა - შემოსვით სულს ინათებდა. რაოდენ თავდაუზოგავი და მძიმე იყო შრომაი მისი მეტყველებს ხელნაწერის ანდერძი: „დავჩხიკე ხელითა ჩემითა ფრიად ცოდვილისათა წიგნი ესე კანონი, დღეთა ოდენ ბოროტად მოხუცებისა ჩემისა, დიად ხაშმან და ბრმამან მრავლითა ჭირითა“. ყველაზე მეტად იოანე-ზოსიმე ქართველი ერის წინაშე იმ ფასდაუდებელი საგალობლის შექმნა-შემონახვით გაბრწყინებულა ქართველთ მომავალზე რო წინასწარმეტყველებს: ქება? დ ა დიდება? ქართულისა ენისა?“.

ვარაუდობენ:

ეს არის ესქატოლოგიური ხასიათის წინასწარმეტყველება ქართველი ერის მომავალი მისიის შესახებ. **წინასწარმეტყველების აზრი ასეთია: „იოანე მახარობლის გამოცხადების თანახმად, მომავალი მსოფლიო კატაკლიზმების შედეგად პირისაგან მიწისა აღიგვება ბევრი ერი და ქვეყანა, ხოლო ქართველი ერი შემორჩება საუკუნეებს, რათა ღმერთის შეწევნით აღასრულოს მასზე დაკისრებული მისია: მან უნდა სწამოს და ჰქადაგოს ჭეშმარიტება ქრისტეს განდგომილი კაცობრიობის წინაშე უფლის მეორედ მოსვლის შესახებ რამეთუ უმრავლესობა კაცობრიობისა მოტყუვდება და ქრისტედ მიიჩნევს ანტიქრისტეს“.**

ღმერთმა ქართველი ერის საშუალებით უნდა ამხილოს უკანასკნელი წინააღმდგომი თვისი, მსოფლიო ტირანად მოვლენილი ანტიქრისტე, მისი მოთაყვანე ერები.

ქართველი ერი ლაზარეა, იგი მიმსგავსებულია უფლის საყვარელ მეგობარს, მართალ ლაზარეს, რომელმაც განისვენა და უფალმა მკვდრეთით აღადგინა უკვე ოთხი დღის მკვდარი. ლაზარეს მიმსგავსებული ქართველი ერიც გარკვეულ ჟამამდე მიძინებულ-მივიწყებული, მდაბალი, დაწუნებული და მსოფლიოს ბოროტ ძალთაგან უგულებელყოფილი, ტაბუირებული სიმბოლურ-მისტიურ გზას განვლის, რათა აღდგეს და ღვთის შემწეობით აღასრულოს თავისი მისია“.

ფიქრობენ, რომ „ქება?“ არ არის ის ნაწარმოები როგორადაც მას ღებულობენ. იგი გააამპარტავნებს ერს, მიუღებელია, დაუჯერებელიაო, მაგრამ ასე რომ ყოფილიყო მას არ აღიარებდნენ ისეთი დიდი წმიდა მამები, რომლებიც მაშინ მოღვაწეობდნენ, მას არ შეეტანდა უდიდეს კრებულში-სინური მრავალთავი, მაკარი ლეთელი. იგი შეტანილია კრებულ
„სამეცნიეროში“.

„ქება?“ ელის წამკითხველს. . .

არსებობს კიდევ ერთი წინასწარმეყველება:

უკანასკნელ ჟამს, უფლის მეორედ მოსვლის წინ გაბრწყინდება ივერია. ამ გადმოცემას ეხმიანება ათონელ ბერთა წმიდად დაცული ცნობა, რომ მოვა დრო, ოდეს იბერიის ყოვლად წმიდა ღმრთისმშობლის ხატი, ისევ იდუმალ დატოვებს ათონის მთას, ვითარცა მოვიდა და სასწაულებრივად გამობრწყინდება თავის წილხვედრ ივერიაში.

ცოტა რამ ათონის მთის შესახებ: ათონის მთა ღვთისმშობლის მეორე წილხვედრია იბერიის შემდეგ. როცა ღვთისმშობელი იერუსალიმში დარჩა უფლის ნებისაებრ და ელოდა მის მითითებას, ლაზარე საყვარელი მეგობარი უფლისა, კვიპროსზე იმყოფებოდა. იგი სწუხდა უფლის დედის უნახაობას. იგი იყო მწყემსთმთავარი კვიპროსზე და ურიათაგან შეძულებული ვერ ბედავდა იერუსალიმში ჩამოსვლას. დედა ღვთისმშობელმა გაიგო ეს და მყის ნუგეშინისმცემელი ეპისტოლე მიახარა - მე თითონ გინახულებო. გახარებულმა ლაზარემ ხომალდი გაუგზავნა და მარად ქალწული იოანე მოციქულთან ერთად მყის გაემგზავრა-კვიპროსს. ცოტაღა მანძილი რჩებოდა, რომ ამოვარდა ქარიშხალი, ხომალდს გეზი უცვალა და ათონის მთის ნაპირებისკენ გააქანა. ყოვლად წმიდა დედას ენიშნა, რომ ეს ის ქვეყანა იყო, სადაც უნდა ექადაგა. გადმოვიდა ნაპირზე. ნაპირზე გადმოსულმა მადლიერების ნიშნად წარმოსთქვა შემდეგი სიტყვები: „მადლი ჩემგან შობილისა ჰფარავდეს ამ მიწას დღემდე მეორედ მოსვლისა“. წარმართნი მოიმოწაფა, აკურთხა ათონის მთა და გამემგზავრა თავის ძეობილთან ერთად კვიპროსზე. ყოვლად წმიდა ქალწულმა ლაზარეს თავის ხელით ნაქარგი ანაფორა აჩუქა. ასე გახდა ათონის ნახევარკუნძული წმიდა დედის ფერხთშენახები და მის წმიდა ბაგეთაგან კურთხეულ-ხარებული.

ათონის ნახევარკუნძული ზღვაში შეჭრილი მთაგორიანი მხარეა. რამდენიმე საუკუნეში თავის ზღვასავით ღრმა და მთებსავით მაღალი სულიერების კერად იქცა.

პირველი ბერები აქ VI საუკუნიდან ჩნდებიან, ხოლო 960 წელს აქ გამობრწყინდა მნათობი მთაწმინდელებისა, დედით ლაზი - ათანასე დიდი. იგია ფუძემდებელი ათონის მთაზე სამონასტრო აღმშენებლობისა. მან დაარსა პირველი დიდი ლავრა, იქ დაამკვიდრა მოყვასი თვისი იოანე ქართველი თავისი ვაჟით ექვთიმეთურთ. აქვე დაემკვიდრა ქართველთა დიდი მხედარმთავარი ბერი იოანე თორნიკ-ყოფილი. იოანე ქართველმა აქ აღზარდა ვაჟი თვისი ექვთიმე - მომავალში ახალ ოქროპირად და მანათობელ ვარსკვლავად, რომ გაბრწყინდება საქრისტიანოს ცაზე. მათ 980-83 წლებში ათანასე დიდის ლოცვა-კურთხევით აღაშენეს წმინდა მთის ერთერთი წამყვანი სამონასტრო ცენტრი, ქართველთა დიდი სავანე - ივირონის მონასტერი, რომლის „ჰაეროვნება? და შუენება? უაღრეს ქებისა აღმატებულ არს“. . . „ვარნა მსგავსი მისი არა იპოების და არა მხოლო მთასა, არამედ სხვათაცა მრავალთა ადგილთა“.

ქართველები აქ X საუკუნემდეც ყოფილან. მონასტერიც ჰქონიათ ათო, აქ ცხოვრობდა ქართველი ბერი გაბრიელი, მისი სახელი ათონის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ისტორიასთან არის დაკავშირებული.

VIII-X საუკუნეებში ბიზანტია ხატმებრძოლების უმძიმეს ცოდვაში ჩაეფლო. საქართველომ ამ საშინელ მოვლენას დიდებულად აუარა გვერდი, მეტიც გოთების ეკლესიის წინამძღოლი იოანე ამ პერიოდში ხატმგმობლობის კერას ჩამოშორდა და შორეულ საქართველოში ჩამოვიდა და ქართლის კათალიკოსისაგან ეკურთხა ეპისკოპოსად. ეკლესიამ ეპისკოპოსი იოანე სიკვდილის შემდეგ წმინდანად შერაცხა.

ამ გამწვავებულ ხატმებრძოლეობის ჟამს ქ. ნიკეაში ცხოვრობდა მდიდარი და კეთილმსახური ქართველი ქვრივი ქალი ვაჟითურთ. ქვრივს თავის სახლთან ეკლესია ჰქონდა და იქ დაესვენებინა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი. მეფის (თეოფილე ხატთმგმობელი) მზვერავებმა უნახეს ხატი ქვრივს და დაემუქრნენ, თუ გამოსასყიდს არ მისცემდათ წამებით მოკლავდნენ. ქვრივი მეორე დღისათვის შეჰპირდა გამოსასყიდს. მტრები განშორდნენ, მაგრამ ერთმა მათგანმა მახვილისცა ხატს და იმწამს ღვთისმშობლის სახიდან, როგორც ცოცხალიდან, სისხლი გარდამოვიდა. ღამით ქალმა ვაჟთან ერთად ხატი გამოიტანა ზღვის პირას და სასოებით შეჰღაღადა: „დედასა ღვთისას ძალგიძს გვიხსნა ჩუენ მეფისაგან უკეთურისა და ხატიცა შენი დანთქმისაგან“.

ამ იმედით ხატი მისცა ზღვის ტალღებს. ხატი აღემართა ტალღებზე და წარემართა დასავლეთისაკენ. ქვრივმა მადლობა შესწირა წმიდა დედას, ვალი აღსრულებულად ჩათვალა და ვაჟს სთხოვა: გასცლოდა იქაურობას. შვილმა თესალონიკეს შეაფარა თავი, მაგრამ შინაგანი ხმის წარმართებით ათონისაკენ წავიდა და იქ ქართულ მონასტერში შედგა ბერად. მისი ათონზე მისვლა ღვთისნებით მოხდა, რამეთუ მისგან შეიტყვეს ათონელმა ბერებმა თუ როგორ გაატანა მისმა კეთილმორწმუნე დედამ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი ზღვას. ბერი იგი 890 წელს გარდაიცვალა.

„სად იყო რამდენ ხანს მიფარული საკვირველთმოქმედი ხატი ესე მარადის ქალწულისა-მის გამოჩენამდე უწყის მხოლოდ ღმერთმან, ყოვლისა მეცნიერმან დიდებულთა და საკვირველთამან“ - ვკითხულობთ ივერიის ღვთისმშობლის საკვირველთმოქმედი ხატის ს?ნაქსარში.

და აი მოხდა დიდი სასწაული: 999 წელს ათონის მთის აღმოსავლეთ სანაპიროზე იდუმალ გამოჩნდა ქართველი ქალის მიერ მგმობართა ხელთაგან გამონარიდი და ღვთის იმედით ზღვას მიცემული ხატი ღვთისმშობლისა. ქრისტეს შობითგან პირველი ათასწლეული იწურებოდა აღდგომის მარხვის დროს ლოცვას მისცემოდა ივერთ მონასტერი. ღმერთს ავედრებდნენ საქრისტიანოს მამები. მეყვსეულად სარკმლიდან ნათება შენიშნეს, ნათლის სვეტი იხილეს ცეცხლებრ მოტყინარე ზღვაზე.

„უფალო შეგვიწყალენ“- აღმოხდათ შიშით. გარეთ გაიჭრნენ, ნათებას მიჰყვნენ, ზღვის ნაპირს მიადგნენ და . საოცრება.

შუაგულ ზღვაში, სვეტსა შორის ცეცხლისა, გაბრწყინვებულიყო ღვთისმშობლის ხატი! პირქვე დაემხვნენ ქართველები. . . მათ თავად ზეციური დედოფალი სწვეოდათ.

ნაპირს მოაწყდნენ სხვებიც: განდეგილნი, მეუდაბნოენნი, მწირნი და მმარხველნი, ღმრთისთვის სალოსნი. მონასტრის მორჩილნი. ყველას სურდა მიახლოება, ზღვიდან მისი გამობრძანება, მაგრამ ყველასგან უკან იხევდა ხატი დედა-ღვთისასა, არავინ მიიკარა. მწარე სინანულს მიეცნენ ათონელნი. ვნების შვიდეული ზღვის პირას გაატარეს. იგლოვდნენ თვის ცოდვებს, ზღვას ერთვოდა მათი დენილი ცრემლი. განსაკუთრებული გულმხურვალებით ლოცულობდნენ იბერიელნი: მოგვანიჭეო ფასდაუდებელი საუნჯე.

და. . . აი, გაბრწყინდა პირველი დღე აღდგომისა. დედა ღვთისა გამოეცხადა ძილში გაბრიელ ქართველს (სალოსს), წმიდა ცხოვრებით გამორჩეულ მეუდაბნოე მამას. მოკრძალებული იყო გაბრიელი, კრძალული ცხოვრებით და სიმარტივით გამორჩული. ზაფხულს შეუვალ კლდეთა შორის ატარებდა, ზამთრობით სავანეს უბრუნდებოდა. ტანთ ფლასი ეცვა, ბალახთა ძირებით იკვებებოდა, წყალს სმიდა ოდენ ,, სცხოვრობდა ვითარცა კაცი ზეცისა და ანგელოსი ქვეყნისა“.

აუწყა ანგელოსებრივ მამას დედა ღვთისამ: „აუწყე წინამძღვარსა და ძმათა, რამეთუ მე მნებავს მივანიჭო მათ ხატი ჩემი შემწედ და მფარველად. შემდგომად შემოვედ შენ ზღვაზე, ვლე სარწმუნოებითღელვასა ზედა მისთა და მაშინ ჰსცნონ ყოველთა სიყვარული და წყალობა ჩემი სავანისადმი თქვენისა“.

განთიადს ლიტანიით, გალობით, საკმევლის კმევით და ამბორებით განვიდნენ მონაზონნი ქართველთ სავანისანი ზღვის ნაპირს.

გაბრიელ ქართველი შევიდა ზღვად, ვიდოდა წყალთა ზედა, ვითარცა მეორე პეტრე. ხმელეთივით განვლო წყალი და „მისწვდა სხვათაგან მიუწვდომელსა საუნჯესა დიდებად მონაზონთა ივერიელთა“.

გულში ჩაკრული ხატი გამოაბრძანა ნაპირზე. ქართველმა ბერებმა ხატი ეკლესიის საკურთხეველში შეასვენეს, მეორე დღეს კი ეკლესიის კარის ზეთავზე იხილეს აღმართული. ბევრჯერ სცადეს ბერებმა მისი შესვენება საკურთხეველში, მაგრამ არ ინება. სასწაული რამდენიმეჯერ განმეორდა. ბოლოს ღმრთისმშობელი ძილში გამოეცხადა გაბრიელ ბერს და აუწყა: „გამოუცხადე ძმებს, რომ მეტად აღარ გამომცადონ, რადგან არ მნებავს თქვენი მფარველობა, არამედ თვითონ მსურს ვიყო თქვენი მფარველიც და მცველიც, არამარტო ამ ცხოვრებაში, არამედ მომავალშიც. დაე ყველა ბერი, ვინც ამ მთაზე კეთილად და ღვთის შიშით იღვაწებს, სასოებდეს ჩემი ძისა და მეუფის მოწყალებას, რამეთუ მე გამოვითხოვე მისგან ეს ნიჭი და აჰა, იყოს თქვენდა სასწაულად: ვიდრე ამ სავანეში იხილვება ჩემი ხატი, არ მოგაკლდებათ თქვენ ჩემი ძის მადლი და წყალობა“. მას შემდეგ ხატი ღმრთის მშობლის მიერ გამორჩეულ ადგილზე ბრძანდება, რის გამოც იწოდება „პორტაიტისად“ ანუ „კარიბჭისმცველად“.

ჰმსახურებდნენ ღმერთს ღვთისმშობლის ძალით დაცულნი მამანი ჩვენნი და ბრწყინავდა ლავრა? იგი ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ძალითა და მადლით. მას ძველთაგანვე კიდევ ერთი სახელი შეარქვეს-„მწყალობელი“. იგი ყველა მართლმადიდებელ ერში დაემკვიდრა. არსებობს გადმოცემა, რომ სანამ კარიბჭის საკვირველთმოქმედი ხატი ივერთა სავანეში იმყოფება, ათონის მთა მთელს ქვეყნიერებას მოჰფენს მართლმადიდებლობის წმიდა ნათელს და ჯოჯოხეთის ძალები ვერ მოერევიან მას. მაგრამ დადგება დრო და ხატი კაცობრიობის საყოველთა განდგომილობის ჟამს, ანტიქრისტეს გამეფების წინ გაუჩინარდება ისეთივე იდუმალი გზით, როგორც მოვიდა. მაშინ ბერებმა სასწრაფოდ უნდა დატოვონ წმიდა მთა.

ივერიის ღვთისმშობლის ხატი ათონელ მამათა მოწმობით „ყველაზე სახალხო სიყვარულით სარგებლობს“ წმიდა მთაზე. მისი დღესასწაული აღინიშნება ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს. საკვირველთმოქმედ ხატს ლიტანიობით მიასვენებენ ზღვის ნაპირას, სადაც იგი პირველად გამოაბრძანა ღირსმა გაბრიელმა და იქვე მდგომ ღმრთისმშობლის ეკლესიაში აღასრულებენ საღმრთო ლიტურღიას.

ორჯერ განანათლა ზეციურმა დედოფალმა საქართველო: თავისი ხელთუქმნელი ხატით, რომელიც ანდრია პირველწოდებულს გამოატანა ივერიაში და მის მიერ შეთხზული ჯვრით, რომელიც წმიდა ნინოს გადასცა ივერიელთა საკურთხებლად.

მესამედ კი სასწაულმოქმედი ხატით თვისით განანათლებს ათონის მთიდან იდუმალ, რომ უნდა გამობრწყინდეს.

ივერიის მფარველი ანგელოზი ხომ თავად ზეციური დედოფალია.

მოამზადა
ქეთი მგელაძემ

ამირან გამყრელიძე: კორონავირუსის გავრცელების მთავარი წყარო ცნობილია

ერთ-ერთი წყარო გავრცელებისა გახლავთ ფული, მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ ანგარიშსწორებები ელექტრონული იყოს, – ამის შესახებ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ განაცხადა.

გამყრელიძის რეკომენდაციით, სასურველია ნაღდი ფულის მოხმარების შემდეგ აუცილებლად დავიმუშაოთ ხელები სადეზინფექციო საშუალებებით.

„დღეს მინდა, მოვუწოდო ბანკებს და განსაკუთრებით იმ ბანკებს, ვინც არიგებენ ნაღდი ფულით პენსიებს. ზოგადად მოსახლეობას მინდა მოვუწოდო, ამ პერიოდში ეს ჩვენთვის შესაძლებელია ნაკლებად დამაზიანებელია იმიტომ, რომ ჩვენ შიდა გავრცელება არ გვაქვს. ამ მეთოდს იყენებდა ჩინეთი, მაგრამ რაც უფრო ადრე გამოვიყენებთ ამ ტიპის პრევენციულ ღონისძიებებს, მით უფრო დავიცავთ თავს. რას ნიშნავს ეს? ჩინეთი ამ პერიოდში მთლიანად გადავიდა ვირტუალურ ვალუტაზე, ანუ, ყველა ანგარიშსწორება ხდება იქ ელექტრონულად. ჩვენთანაც უნდა ვეცადოთ, რომ მაქსიმალურად ანგარიშსწორებები იყოს ელექტრონული, მაგრამ იქ, სადაც აუცილებელია ნაღდი ფული, სასურველია, ნაღდი ფულის გამოყენების შემდეგ, მაქსიმალურად დავიმუშაოთ ხელები,“- განაცხადა ამირან გამრელიძემ.

ამასთანავე, მან რეკომენდაციით მიმართა ბანკებსაც, რომ ყველა ფილიალში მოაწყონ ხელის სადეზინფექციო კუთხე, სადაც განთავსებული იქნება დეზინფექტორები.

„მინდა, მივმართო ამასთან დაკავშირებით ბანკებს. სასურველია და ბანკებს აქვთ შესაბამისი შესაძლებლობები, რომ ყველა ფილიალში, ბანკის ყველა განყოფილებებში იყოს ხელის დასამუშავებელი სადეზინფექციო სივრცეები და შესაბამისად, იქ იდგეს დეზინფექტორები, სადაც ადამიანი, ვინც შედის და გამოდის ბანკიდან, მით უმეტეს თუ აქვთ შეხება ფულთან, ჰქონდეთ საშუალება ხელის დამუშავების. ეს აუცილებელია თვითონ ბანკის თანამშრომლებისთვის, ვინც გასცემენ ნაღდი ფულით თანხას და ასევე, იმ ადამიანებისთვის, ვინც იღებენ ნაღდ ფულს“, – განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

ამირან გამყრელიძემ კორონავირუსის გავრცელების პრევენციისთვის იმ ბანკებს, რომლებიც პენსიებს გასცემენ მიმართა, რომ თუ შესაძლებელია პენსიები ელექტრონულად გასცენ, რათა ნაღდი ფულის გამოყენებას თავი აარიდონ.

„ამავე დროს, განსაკუთრებით თავშეყრა არის, როდესაც პენსიების გაცემა ხდება და მინდა ვთხოვო იმ ბანკებს, რომლებიც გასცემენ პენსიას, რომ ხელი შევუწყოთ ადამიანებს, რომ იქნებ გაცემა იყოს ელექტრონულად და თუ ამის საშუალება არ არის და ადამიანს არ უნდა, მაშინ პენსიონერებს შევუქმნათ შესაბამისი შესაძლებლობა, რომ მათ ფულის აღების შემდეგ ან მანამდე ზოგადი ჰიგიენური წესები დაიცვან და ამავე დროს თუ შესაძლებელია, რომ თავი ავარიდოთ დიდ თავშეყრასა და დიდ რიგებს ამ დროს“ , – განაცხადა დაავადებათა კონტროლის ცენტრის დირექტორმა.

განცხადებები

იყიდება კურორტ ბახმაროში ორსართულიანი კოტეჯი 80 კვ. მ საცხოვრებელი ფართით, ინგოროყვას ქუჩაზე (ასკანის დასახლება).

იყიდება 14,6 ჰა მიწის ნაკვეთი სოფელ ლიხაურში (კვაჭალათი). სოფელ მეფრინველეობის ფერმასთან, რომელზეც გაშენებულია თხილი.

მსურველებს შეგიძლიათ იკითხოთ შრომის ბირჟაზე. მისამართი: ოზურგეთი, რკინიგზის სადგურის პირველი სართული.
ტელ. 599 587 532.

<u>სამგლოვიარო განცხადებები</u>

ჯემალ დობორჯგინიძე, შვილებით, ღრმა მწუხარებით იუწყება ღვაწლმოსილი პედაგოგისა და მუსიკოსის ქალბატონი **მალვინა გურის ასული სალუქვაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახსა, ნათესავებსა და ახლობლებს.

გაზეთი „ალიონი“ იუწყება ღვაწლმოსილი პედაგოგისა და მუსიკოსის ქალბატონი **მალვინა სალუქვაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს..

სკანვორდი



პასუხები:

მამაჩემი ილარიონ სიხარულიძე



იმ ძველ გამოჩენილ მომღერალთა შორის ერთ-ერთი თვალ-საჩინო ადგილი უკავია ილარიონ სიხარულიძეს. იგი გურული სიმღერების კორიფეების: არტემ და ვლადიმერ ერქომაიშვილების, ასევე დიდი ვარლამ სიმონიშვილის მოწაფე და აღზრდილი იყო. 1930 წლიდან ილარიონი ვარლამ სიმონიშვილის ეთნოგრაფიულ გუნდში მღეროდა. ვარლამის გუნდი გამოირჩეოდა ე. წ. „ტრიოს“ სიმღერების შემსრულებელი მომღერლებით, განსაკუთრებით გამოირჩეოდა ის ტრიო, რომელშიც უმაღლესი რანგის მომღერლები – დომენტი ქარჩავა, შერმანდინ ჭკუასელი და ილარიონ სიხარულიძე მღეროდნენ.

ილარიონს ერთი ჩვევა ჰქონდა, სიმღერის დროს პირს არ აღებდა. ვარლამი თურმე აფრთხილებდა გუნდის წევრებს: სიმღერის დროს, როცა საშუალება გექნებათ, დადექით სარკის წინ და შეხედეთ, როგორ გამოი-ყურებით. ალბათ, დავალებაც მისცა მომღ-ერლებს, ისე არ გამოვიდეს, ენის კლიტე გამოგიჩნდეთო. მეორე დღეს ერთ მომ-ღერალს – კოტე პაპავას უთქვამს: ვარლამ ბატონო, დავდექი სარკის წინ და იმფერი სანახავი ვიყავი, მგონი პირი მოსაკერავი მაქვსო. ამას, რა თქმა უნდა, სიცილი მოჰყოლია.

ამასთან დაკავშირებით გამახსენდა კიდევ ერთი ამბავი: ადრე ტარდებოდა რაიონული ოლიმპიადები. თბილისში წასასვლელ გუნდებს ამოწმებდა კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი. ოზურგეთის რაიონული ანსამბლის შესამოწმებლად ჩამოვიდა კომპოზიტორი მიხეილ ჩირინაშვილი. ანსამბლის ხელმძღვანელი იყო ვლადიმერ ერქომაიშვილი. ერთ-ერთი ტრიოს შესრულებისთვის ვლადიმერმა გამოიყვანა დომენტი ქარჩავა, შერმანდინ ჭკუასელი და ილარიონ სიხარულიძე. სიმღერა რომ დაიწყეს მიხეილი ადგა, ტრიოსთან მივიდა, ილარიონს შეხედა და ვლადიმერს უთხრა: ვლადიმერ ბატონო, ეს კაცი არ მღერისო. ვლადიმერმა სიცილით უპასუხა: ბატონო მიხეილ, მაგი კაცი რომ მღერის, ნეტა ისე სხვები მღეროდნენ. იმ ოლიმპიადაზე გუნდმა დიდ წარმატებას მიაღწია.

მამაჩემის პლეადის მომღერლებთან ხშირად მიწევდა ურთიერთობა და ბევრ მათგანთან მიმღერია კიდეც. ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერი ვიყავი, როცა სიმღერას ჩავამთავრებდით და სიმღერის დიდი ოსტატები იტყოდნენ, ყოჩაღ, ილარიონ, კარგად გამოგიზრიდიათ ბაღანა.

მე ვამაყობ იმით, რომ ილარიონ სიხარულიძის შვილი ვარ და მოვესწარი იმ დიდი კორიფეების ხანას, რომლებმაც ჩვენამდე მოიტანეს ეს ძვირფასი საგანძური, რომელსაც გაფრთხილება და შენახვა უნდა.

35 წელი გავიდა მამაჩემის გარდაცვალებიდან. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ეს უწყინებელი კაცი.

ტრისტან სიხარულიძე.

28.02 - 2020 წელი

გურულ მოჯირითეთა უცნობი დეტალები

ივანე როსტომის ძე მახარაძე - „მათრახა“

დედოფალი ვიქტორია ალბომს გადასცემს გურულ მოჯირითეს

მათი ლიდერი იყო პრინცი ივანე მახარაძე. რუსეთში მას დაუკავშირდა აგენტი ერკოლი, რომელმაც ყველანაირი საორგანიზაციო საქმეები მოაგვარა მათ ლონდონში ჩამოსაყვანად და ისინი წარმოდგენილი იყვნენ ,როგორც კაზაკების პირველი ჯგუფი, რომელმაც რუსეთი დატოვა

1892 წლის 28 მაისის ლონდონური გაზეთი“**Pictorial World**” აღნიშნავდა :„ახალი ატრაქციონი ემატება უკვე ისედაც მშვენიერ შოუს ერლ ქორთში, ორშაბათს ჩამოვიდა რამდენიმე დონის კაზაკი და ისინი,როგორც ჩვენ გავიგეთ მონაწილეობას მიიღებენ წარმოდგენაში“.

ბაფალო ბილის შოუს ევროპაში და კერძოდ ინგლისში კარგად იცნობდნენ. პირველად შოუ 1887 წელს ჩავიდა ლონდონში, დედოფალ ვიქტორიას ოქროს იუბილეზე,სადაც უზარმაზარი წარმატება ხვდა წილად და როგორც ირკვევა, მაშინ ეს კაზაკები მათთან ერთად არ ყოფილა“.(ირაკლი მახარაძე, აკაკი ჩხაიძე„„უაილდ უესთის მხედრები“ თბილისი 2001 წელი).

გურული მოჯირითეები ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველად გამოჩნდნენ 1893 წელს ადამ ფორეპასა და ბაფალო ბილის შოუში.

გაზეთი „ივერია“ ამის შესახებ 1893 წლის 13 თებერვალს წერდა:„*ბათუმი ამას წინად წავიდა აქედან გურიაში ჩიკაგოს გამოფნის გამგეელთა სანდო კაცი, რომელსაც დავალებული ჰქონდა, შეჰკრიბე რამდენიმე ცხენოსანი გურული ვაჟკაცი და ჩიკაგოს გამოგზავნეო. ამ კაცს უკვე შეუკრებია ეს დასი, რომელშიც ათი კარგი ვაჟკაცია. მშვენიერად გამოწყობილი და და შეთოფიარაღებულიეს დასი 13 თებერვალს უკვე ჩამოვიდა ბათუმს და ამ მოკლე ხანში გაეგზავრება კიდეც ამერიკას*“.

გურული ცხენოსნები ნიუიორკში ჩავიდნენ 1893 წლის 10 აპრილს გემით „სპარსეთის მონარქი“. ჯგუფში შედიოდნენ:„პრინცი ივანე ივანე მახარაძე, ლუკა ჩხარტიშვილი, ქიშვარდი მახარაძე, ყარამან კალანდარიშვილი, ივანე (პატარა) მახარაძე ,მეტსახელად „ჩოხაგრძელა“, სდგებუაძე, სილიბისტრო მახარაძე, გიორგი კალანდარიშვილი, იოსებ ტალახაძე და პავლე მახარაძე. შოუს ორგანიზატორები გურულ მოჯირითეებს ხან რუს „კაზაკებს“ ხან რუსეთის კავკასიის კაზაკებად და ხან კავკასიელ ებრაელებად მიიჩნევდნენ.

„მოსკოვსკოე ვედემოსტმა“ გადმობეჭდა ინგლისელი აქინგლოქის წერილი, „*როდესაც მე მათ შევკითხე, ისინი გამოტყდნენ,რომ კაზაკები არ არიან და მიკუთნებიან კავკასიის ტომს,არ მსახურობენ და არც მსახურობდნენ რუსეთის არმიაში.მათი უწყინარი ლაპარაკი და ჟესტები, აგრეთვე მოძრაობები ცეკვაში გვაფიქრებინებს, რომ ისინი კავკასიელი ებრაელები არიან.*“თავად მოჯირითეები ძალიან განიცდიდნენ ამ ზედწოდებას.

1903 წელს პარიზში შემოხვევით შეხვედრილ თედო სახოკიას ნაღვლიანად შესჩივლეს: „სიკდილი რავა არ არის,ყველა კაზაკებს გვეძახის და ჩვენ ისიც ვერ გავაგებინეთ, რომ საქართველოს შვილები ვართ“.ამის შესახებ გაზეთი „ცნობის ფურცელი“ იუწყებოდა : „*იმხანად საფრანგეთში მყოფმა გურულმა მეომრებმა დიდი აურზაური გამოიწვიეს.იარაღასხმულები ნამდვილ მეომრებს მოგონებდნენ პარიზელებს. სადაც კი გაივლიდნენ ქუჩაში ტევა არ იყო, ქართველები ყველას კაზაკები ეგონათ, იქეთ-აქედან გაიძახოდნენ „ ვივ კოზაკ-კოზაკებს გაუმარჯოსო*“(„ცნობის ფურცელი ფურცელი“ 11 1903 წელი 13 აპრილი).

ლონდონში მანამდე „კაზაკები“ არავის ენახა. განსაკუთრებით ინტერეს იწვევდა ხმალ-ხანჯალი და მსრები,რომლებიც ინგლისელებს მინიატურული დინამიტი ეგონათ.

ინგლისური ჟურნალი“ **The Ilustrted London News**”(1892 წელი 18 ივლისი) იუწყებოდა:„*საერთაშორისო მეცადეობის მშვენიერი გამოფენა მოწყობილია ერლს ქორთ სტეიშენსა და უესთ ბრომთონს შორის აქ საშუალება გეძლევათ კვლავ იხილოთ ბაფალო ბილის უაილდ უესთი ჩრდილოეთ ამერიკის პრერიებიდან, აგრეთვე კაზაკები რუსეთის კავკასიიდან, ცნობილი სამხედრო კავალერისტები პრინც ივანე მახარაძის ხელმძ-ღვანელობით,რომლებიც წარმოაჩენენ „ცხენოსნობის უმარლეს ხელოვნებას*“.

სულ მალე ნეი სოლსბერმა (უაილდ უესთის გენერალური მენეჯერი) შეტყობინება მიიღო დედოფალ ვიქტორიას მეჯინიბეთუხუცესისაგან, რომ მისი აღმატებულება დიდად ნასიამოვნები იქნება თუ უაილდ უესთის მენეჯერები მოახერხებენ კაზაკების ჩაყვანას უინძორში და მშვენიერი ჯირითის ჩვენებას.

1892 წლის 25 ივნისს გურულებმა ივანე მახარაძის ხელმძღვანელობით დედოფლის, მისი შვილების და წარჩინებულ პირთა წინაშე ოჯირითეს. კაზაკების ცხენზე უკუღმა ჯირითის შემყურე პრინცი ჰარი მიუბუდა დედოფალს და გერმანულად უთხრა:„*დედა თქვენ ფიქრობთ ესენი მართლა კაზაკები არიან?*“, სანამ დედოფალი უპასუხებდა მე მივუბრუნდი (ნეით სოლსბერი) და მოუგე: „ *გარწმუნებთ,რომ ყველა და ყველაფერი რასაც თქვენ ხედავთ სცენაზე ზუსტად ის არის, რასაც წარმოადგენენ*“. დედოფალი იმდენად ნასიამოვნები დარჩა ამ სანახაობით,რომ გურულებს გადასცა მათივე ფოტოსურ-ათებით სავსე ალბომი და მადლობა გამოუცხადა. ოგლისის საზოგადოებამ ოცი ათასი კაცის მიერ ხელმოწერილი ქებ-ისა და მადლობის ადრესი შეადგინა. აღიშნულ ფაქტს გამოეხმაურა „მოსკოვსკოე ვედემოსტი“:„ *გურულ კაზაკებს, რომლებიც ახლა იმყოფებიან ლონდონში პოლკოვნიკ ქოუდის ხელმძღვანელობით, ბრიტანელი მყურებელი ძალზე გულთბილად ხვდება ,დღეს ისინი გამოსხებული იყვნენ უინძორში, სადაც დედოფლის წინაშე ოჯირითეს*“.

ცხენოსანთა საერთაშორისო აკადემია ,საუკეთესო მოჯირითეებს ძვირფასი საჩუქრებითა და გულზე დასაკიდი ოქროს მედალიონით აჯილდოვებდა, რომელსაც გაჭენებული ცხენის ფორმა ჰქონდა.ამ მედალიონით დაჯილდოვებული იყვნენ : ივანე, პავლე მახარაძეები და ლუკა ჩხარტიშვილი.

საინტერესო სტატია,რომელიც დაიბეჭდა „სიტი პრესში“ 1892 წლის 22 ივნისს:„ *ბოლო ჟამს სიახლეა ის ,რომ გასართობ სანახაობაში კაზაკები მონაწილეობენ. მათ ბრწყინვალე საშემსრულებლო ხელოვნება გააჩნიათ- ცეკვავენ, გრძელი კოსტიუმების მიუხედავად, ერთნაირად მომხიბვლელები არიან ,თითოეული მათგანის მოძრაობა ელექტრიკულია,მათი საცხენოსნო ხელოვნება გამოცდილია, ზოგი ცხენზე უკუღმა ზის, ზოგჯერ ხმლებითაა შემდგარი,თვით ლიდერი წარმოადგენს არენის მთავარ წერტილს*“.

ქართველები გახდნენ შეუცვლელნი ბაფალო ბილში, როგორც ინდიელები.უფრო მეტიც ველური დასავლეთის მკლევარი დი ბრაუნი წერდა: „*ჯირითობა როდეოში შემოვიდა ყაჩაღანა კაზაკების დასიდან. დაიტერესდნენ რა კაზაკების ტრიუკებით , რომლებიც სრულდებოდა გაჭენებულ ცხენზე. ვესტერნმა კოვბოებმა მალე წარმოუდგინეს მისი სახესხვაობა ამერიკულ როდეოს*“.

თედო სახოკია წერდა: „*ამერიკის თვით საუკეთესო ცხენოსნებიც იძულებული გამხდარან პირველობა დაელოცათ ჩვენებურთათვის*“.



პირისპირ შეხვედრისას შეშის მომგერეონა

,როგორც თავად აღნიშნა თავდაპირველად გადაწყვეტილი ჰქონდა შეესრულებინა მამის თხოვნა და დაეწერა წიგნი ბაბუის ალექსი გოგოხიას შესახებ ,რომელიც 1896 წლიდან ამერიკაში იმყოფებოდა და წარმატებით ჯირითობდა გურულებთან ერთად. „ამერიკის არქივებსა და მუზეუმში მასალების ძიებისას ,ბევრ საინტერესო მასალას გადავაწყდი განსაკუთრებით გამაღაზიანებელი ფაქტორი ,რომელმაც წიგნის დაწერის ინტერესი გამიღვიძა იყო ის, რომ ყველგან გურულული ცხენოსნები მოიხსენიებოდნენ „რუსებად“ ან „კაზაკებად“.

ბატონი რიჩარდი 1998 წლიდან ეწევა კვლევა-ძიებას და ბოლოს, როგორც ავღნიშნეთ გურიაშიც ჩამოვიდა.გურიაში სტუმრობისას მოინახულა ადგილი ბაისურა(ბახმარო), ქვედა ბახვში ივანე მახარაძის საფლავი შეხვდა მოსახლეობას და ქალბატონ ნელი მახარაძეს.

სოფელ ბახვში სტუმრობისას რიჩარდ ჯორჯიანმა თქვა: „*ჩემი ამოცანა და საქართველოში ჩამოსვლის მიზანი, რომ დავარღვიო ყალბი ამერიკული მითი, კაზაკების შესახებ*“. ამერიკელები ხომ ამ ისტორიებს შოუ ბიზნესის დასაწყისად ვლიან და რაოდენ საამაყოა მის სათავეებთან სწორედ გურულები დგანან..რომლებმაც არ იკმარეს თავიანთი საკედარო სოფელ-ქვეყანა და ახალ სამყაროში ცხენდაცხენ შეაბიჯეს.“

მიუხედავად იმისა,რომ ბევრ მათგანს ბედი უსამართლოდ მოექცა ,გურულ მოჯირითეთა ისტორიები არ კვდება და ცოცხლდება მკლევართა მიერ.

მანანა ლომაძე,

ოზურგეთის სამუზემო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი

იური ლომაძეს ჯილდოდ 2000 ლარი გადაეცა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქარ-თველო“-ს ინიციატივითა და ოზურგეთის მერიის მხარადაჭერით, 2020 წლის ევროპის ჩემპიონატზე ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში ვიცე ჩემპიონს **იური ლომაძეს,** მიღწეული წარმატებისთვის 2 000 ლარი, 4 მარტს, საკრებულოს მორიგ სხდომაზე გადაეცა.

ფრაქცია „ქართული ოცნება" ახალი ინიციატივით გამოდის, რომელიც შემდგომში წარმატებული სპორტსმენების, ევროპის, მსოფლიო პრიზიორების, ოლიმპიური ჩემპიონებისა და მათი მწვრთნელების მუნიციპალიტეტის მხრიდან ერთჯერადად ფულადი ჯილდოს გადაცემას ეხება. საკრებულოს ფრაქციამ, აღნიშნული ინიციატივით მერიას უკვე მიმართა, შემუშავდება ფულადი ჯილდოს გაცემის წესი, რომელიც სამომავლოდ ბიუჯეტში აისახება.

– ჩვენ მაქსიმალურად უნდა დავუჭიროთ მხარი და დავაფასოთ ყველა იმ სპორტსმენის მიღწევა, რომლებიც ჩვენ მუნიციპალიტეტს, ქვეყნას მსოფლიო მასშტაბით ასახელებენ. ფრაქციის ეს ინიციატივა, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერიაც უჭერს მხარს, სწორედ ამას ემსახურება– აღნიშნა ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **ტარიელ არაშიძემ** საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

ოზურგეთის IV საჯარო სკოლის 7 კლასის მოსწავლის ანა მეგრელაძის წარმატება

ევროპის საბჭოს ინიციატივით გამოცხადებულ კონკურსში „ევროპული მემკვიდრეობის შემომედთა კვირეული“ საქართველოდან წარმოდგენილ ხუთი ნამუშევრიდან ერთ–ერთი ოზურგეთის IV საჯარო სკოლის მე- 7 კლასის მოსწავლის **ანა მეგრელაძის** ნამუშევარი აღმოჩნდა.

კონკურსის მონაწილეებს უნდა შეექმნათ ნაშრომები თემებზე: ხელოვნება და გართობა/ შემეცნება, ანამ შემეცნების სექტორი აირჩია და შესანიშნავად გაართვა თავი, სწორედ მისი ნამუშევარი შეირჩა საკონკურსოდ წარდგენილ მრავალრიცხოვან ნამუშევრებს შორის.

ვულოცავთ ანა მეგრელაძეს ამ გამარჯვებას და წარმატებებს ვუსურვებთ მომავლის გზაზე.

მატჩამდე ორი კვირით ადრე

ბელორუსის პრესა საქართველოს ნაკრების შესახებ

ევროპირველობის შესარჩევი ეტაპის პლეი-ოფის ნახევარფინალში საქართველოს ნაკრები 26 მარტს ბელარუსს უმასპინძლებს. მომავალი შეხვედრის წინ ბელარუსულმა „პრესბალმა“ საქართველოს ნაკრებზე წერილი გამოაქვეყნა. როგორც ჩანს, ბელარუსში კარგად არიან ყველაფერზე ინფორმირებულნი და რა თქმა უნდა, „ჯვაროსნებთან“ მატჩისთვის საფუძვლ-იანად ემზადებიან.

55 ათასი ბილეთი ერთ კვირაში გაიყიდა. საბაზო გუნდი კვიპროსის ჩემპიონატიდანაა... როგორ ემზადება საქართველოს ნაკრები ბელარუსებთან დაპირისპირებისათვის. საქართველოში ნამდვილი აჟიოტაჟია

მარტის დასასრულს ისტორიული მომენტი არამარტო ბელარუსი ფეხბურთელებისთვისაა. ან ორი მომენტიც კი - ერთი გუნდისთვის. ანალოგიური ისტორიისთვის ემზადება ჩვენი მოწინააღმდეგე. ამ ქვეყნის გუნდი ზუსტად ჩვენნაირ სიტუაციაშია. მას

არასოდეს არ მიუღია მონაწილეობა ტოპ-ტურნირებზე და ამდენად, ეს შანსია, რომელიც მიშელ პლატინის ძველი იდეით მივიღეთ და რომელიც საოცრებად და მილიონში ერთადერთად შეიძლება ჩაითვალოს. მოდით, შევიხედოთ კავკასიაში და ვნახოთ, როგორ ემზადება უკანასკნელი ოცდაათწლეულის უმნიშვნელოვანესი მატჩისათვის საქართველო.

რამდენიმე დღეში გაყიდული 55 ათასი ბილეთი

მატჩი თბილისის „დინამო არენაზე“ ჩატარდება. სტადიონი თბილისის „დინამოს“ ცნობილი თავდამსხმელის, ბორის პაიჭაძის სახელობისაა და „ასაკით“ თითქმის მინსკის მთავარი არენის ტოლია. ის ორი წლის შემდეგ, 1936 წელს გახსნეს. 70-იან წლებში 78 ათას მაყურებელს იტევდა, ერთ-ერთ შეხვედრას კი 100 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო. თუმცა რეკონსტრუქციათა სერიის შემდეგ მისი ტევადობა შემცირდა. ბოლო განახლება 2015 წელს, უეფას სუპერთასისთვის მოხდა.

ახლა „დინამო არენას“ შეუძლია 55 ათასი გულშემტკივარი მიიღოს და უკვე ცხადია, 26 მარტს ანშლაგი იქნება. ბილეთების გაყიდვა 5 თებერვალს დაიწყო, ორ დღეში ნახევარი გაიყიდა, 26 თებერვალს კი საქართველოსთვის უპრეცედენტო მოვლენის თაობაზე გვაუწყეს - თამაშამდე ერთი თვით ადრე ყველა ბილეთი გაყიდულია.

თუმცა კორონავირუსმა შესაძლოა, კორექტივები შეიტანოს. ქართველი ჟურნალისტები შიშობენ, რომ არაა გამორიცხული, ხელისუფლებამ მატჩის მაყურებლების გარეშე ჩატარების გადაწყვეტილება მიიღოს ან სულაც გადადოს. ჯერ ეს ჰიპოთეზურია. სხვა მხრივ დავინახოთ - მარტის ბოლოს ქართველებს ბელარუსებთან მხარს გულმხურვალედ 50 ათასზე მეტი გულშემატკივარი დაუჭერს.

კვიპროსის „ანორთოსისი" საბაზო გუნდია

არ გაგიკვირდეთ, ფამაგუსტურმა გუნდმა მოულოდნელად და როგორც ჩანს, ალოგიკურად მიიღო თავის რიგებში საქართველოს ნაკრების ძირითადი შემადგენლობის 5 წევრი. ეს ალოგიკურად ერთი შეხედვით ჩანს. თუ თემას ჩავულრმავდებით, ყველაფერს მივხვდებით. გასულ წელს „ანორთოსისი“ საქართველოს ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა თემურ ქეცბაიამ მეორედ ჩაიბარა. ადრე ის ამ გუნდის ღირსებას იცავდა. 13 წლის წინ მან „ანორთოსისი“ ჩემპიონთა ლიგაზე გაიყვანა, რაც კვიპროსული ფეხბურთის ისტორიული მიღწევა გახლდათ. შემდეგ ის „ოლიმპიაკოსში“, „აპოელში“, „ორენბურგსა“ და საქართველოს ნაკრებში მუშაობდა.

კარგით, ისტორიაზე საუბარი საკმარისია. ქეცბაიას გუნდში მუდმივი სათამაშო პრაქტიკა თორნიკე ოქრიაშვილმა, გიორგი ლორიამ, ბუბა დაუშვილმა და ნიკა კაჭარავამ მიიღეს, იანვარში კი ფამაგუსტურ გუნდში მოსკოვის „სპარტაკიდან"“ჯანო ანანიძე გადავიდა. ნახევარმცველი „თეთრწითლების“ ღირსებას 2009 წლიდან იცავდა. ჯანომ „ანორთოსისში“" სათამაშო პრაქტიკა მიიღო და ტონუსშია. სხვათა შორის, ქეცბაიას გუნდი ჩემპიონატის თანალიდერია. თავად თემურს კი ლამის ქართული ფეხბურთის მხსნელს უწოდებენ.

მთელი საქართველო „სუსტ ბელარუსთან" მატჩს ელის

ბუნებრივია, ყველა სახალხოდ საუბრობს მომავალ შეხვედრაზე, როგორც ისტორიულ შანსზე, რომლის ხელიდან გაშვება არ შეიძლება და ეს ეროვნული დღესასწაული გახდება. ორ ციტატას მოვიყვანთ. აი, რა თქვა საქართველოს ნაკრებისა და ტულის "არსენალის" მცველმა გია გრიგალავამ:

„როგორც კი ცნობილი გახდა პირველი მეტოქე და შეხვედრის გამართვის თარიღი, მთელი ქვეყანა ამ თამაშების მოლოდინშია, ისევე, როგორც ჩვენ, ფეხბურთელები. ყველას ესმის, რომ ეს შესაძლებელია, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩებია. ჩვენთვის ისტორიაში შესვლის კარგი შესაძლებლობაა. მთავარია, ყველანი ჯანმრთელად ვიყოთ. ვფიქრობ, სხვა მხრივ პრობლემა არ გვექნება - განწყობის და მომზადების საკითხში.

გასაგებია, ევრო 2020-ზე თამაშის ოცნება მუშაობაში განსაკუთრებულ მოტივაციას მძენს. არა მარტო მე, არამედ ნაკრების ყველა ფეხბურთელს. ასეთ დიდ ტურნირზე მონაწილეობა არასოდეს არ მიგვიღია. თუ გავალთ, დიდი ზეიმი იქნება. ეს ქართული ფეხბურთის უზარმაზარი წინგადადგმული ნაბიჯი გახდება. იმედია, მიზანს მივაღწევთ“

აი, საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელის, შოთა არველაძის სიტყვები:

„რა თქმა უნდა, ისევე, როგორც ნებისმიერ ქართველ გულშემატკივარს, მინდა ნაკრებმა თბილისში ორივე მატჩი მოიგოს. ჩემს თაობას ასეთი შანსი არ ჰქონია. შესაძლოა, შემდეგსაც არ ჰქონდეს. ღმერთმა ინებოს, ასეთი ათასი შესაძლებლობა მოგვეცეს. ახლა მისი ხელიდან გაშვების უფლება არა გვაქვს.

მე არ მომწონს ბელარუსის ნაკრები. ძალიან კარგად არ თამაშობს. მოკლედ, არაფერი განსაკუთრებული. კოსოვოს გუნდითაც არ ვარ აღფრთოვანებული"“

„ყველაფერი კარგადაა, მაგრამ არის პრობლემა..."

მეტოქისგან განსხვავებით საქართველოს ნაკრებს სპეციალური მოსამზადებელი შეკრება არ გაუვლია. ამის გაკეთება, ალბათ, შეუძლებელი იყო - გუნდის ბირთვს ძირითადად ლეგიონერები შეადგენენ. ამდენად, ფეხბურთელები მშვიდად ემზადებოდნენ და ემზადებიან და სათამაშო პრაქტიკას თავიანთ კლუბებში იღებენ, ხოლო ეროვნული გუნდის დამრიგებელი ვლადიმირ ვაისი მთელ ევროპაში მოგზაურობს და შეგირდებს თვალს ადევნებს.

მთლიანობაში კი, ტრავმების მხრივ, საქართველოს ნაკრებს პრობლემა არა აქვს. როგორც პრესა აღნიშნავს, გუნდში ყველა პოზიციაზე ორი ფეხბურთელია, გარდა ერთისა. პრობლემური ამპლუა - მარჯვენა მცველი. ამ ფლანგზე „ლუცერნელი“ ოთარ კაკაბაძე თამაშობდა, მაგრამ ტრავმა მიიღო და ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს. საერთაშორისო გამოცდილების მეტი მარჯვენა მცველი ვაისის განკარგულებაში არ არის. ეს იმდენად პრობლემურია, რომ ქართველთა მესაჭემ ამ პოზიციაზე რამდენიმე მატჩში შემტევი ნახევარმცველი ჯამბულ ჯიღაური გამოსცადა.

თუმცა საქართველოში ვითარების დრამატიზებას არ ახდენენ და აღნიშნავენ, რომ ნაკრები ბრძოლისთვის მზადაა. ბელარუსთანაც და შესაძლოა, კოსოვოსთანაც.

7 დღის ამინდის პროგნოზი

9 მარტი, ორშაბათი	10 მარტი, სამშაბათი	11 მარტი, ოთხშაბათი	12 მარტი, ხუთშაბათი	13 მარტი, პარასკევი	14 მარტი, შაბათი	15 მარტი, კვირა
მზე, ღრუბელი +11+22	მზე, ღრუბელი +9+23	მზე, ღრუბელი +8+20	მზე, ღრუბელი +8 +17	ღრუბელი +13 +22	წვიმა +9 +19	მზე, ღრუბელი +6 +14